

ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული/- #6 (16) 2026

<https://doi.org/10.52340/ijaamr.2026.6.16.07>

ჟორჟ პიტოევი და მისი თეატრალური ხედვის საფუძვლები

ნარინე სარგსიანი

საკვანძო სიტყვები: ჟორჟ პიტოევი, პიტოევის ოჯახი, საქმიანობა რუსეთსა და შვეიცარიაში, პარიზის ტურნე, თეატრალური ხედვა.

სტატიაში განხილულია ჟორჟ პიტოევის (1884-1939), როგორც მე-20 საუკუნის ევროპული თეატრის გამოჩენილი მოღვაწის, ჩამოყალიბების პროცესი და პერიოდი. საქართველოში, სომხურ-რუსულ ოჯახში დაბადებული პიტოევი შემდგომში ძირითადად საფრანგეთში ცხოვრობდა. იგი წარმოადგენდა ემიგრანტი ხელოვანის მტკივნეული იდენტობის კლასიკურ მაგალითს, რომელმაც სოციალური თუ პოლიტიკური მღელვარების ფონზე სხვა ქვეყანაში გადასახლება აქცია შემოქმედებითი ძალის წყაროდ. ჩვენი კვლევა კონცენტრირებულია მის ადრეულ ნამუშევრებზე რუსეთსა და შვეიცარიაში, როცა პირველად გამჟღავნდა პიტოევისეული თეატრის პოეტური აღქმის ნიშნები, რამაც ინტელექტუალური და ესთეტიკური საფუძველი ჩაუყარა მის შემდგომ აღზევებას და ძლიერი გავლენა იქონია თანამედროვე ევროპულ თეატრზე.

ჟორჟ პიტოევი (გევორგ პიტოიანი) (1884-1939), დაბადებული თბილისში, სომხურ-რუსულ ოჯახში, შემდგომში იქცა მე-20 საუკუნის ფრანგული თეატრის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნოვატორ რეჟისორად და პარიზში ავანგარდისტული Cartel des Quatre-ის დამფუძნებლად. აკადემიური ლიტერატურა დიდ ყურადღებას უთმობს ჟორჟ პიტოევის პარიზულ პერიოდს, მაგრამ მისი ოჯახი, ფესვები და ადრეული შემოქმედებითი ნაბიჯები რუსეთსა და ჟენევაში თითქმის უგულებელყოფილია. ასე რომ, პიტოევის საქმიანობის ადრეულ ეტაპზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ პერიოდში გამომჟღავნდა მისი სარეჟისორო და სამსახიობო არჩევანი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მის თეატრალურ ხედვას. ასევე მნიშვნელოვანია იმ დიდი როლის გათვალისწინება, რომელიც მომავალი ხელოვანის პიროვნულ განვითარებაზე იქონიეს მისმა ოჯახმა და გარემომ.

პიტოევის ოჯახის შესახებ პირველი ცნობები ჯერ კიდევ ვახტანგ VI-ის მეფობის დროს, მე-17 სა-

უკუნეში, გვხვდება. მეფის ნაზირის თანამდებობა ეკავა იოსებ პიტოიანს.¹ მე-19 საუკუნეში ჟორჟის ბაბუის - ევორ პიტოევის კომპანია ჩართული იყო კავკასიაში ნავთობის წარმოებასა და გადამუშავებაში, რისთვისაც მას შთამომავლობითი თავადობა უბოძეს. იოსებმა, რომელსაც შვილებისთვის კარგი განათლების მიცემა სურდა, ხუთივე ძე პარიზში გააგზავნა სასწავლებლად. ორი მათგანი დაბრუნდა თბილისში. იოსების საქმიანობა შემდგომში ჩაიბარა ჟორჟის ბაბუის ძმამ - ესაი პიტოევმა (1844-1904), შეძლებულმა მეწარმემ, თეატრის მოყვარულმა და ქველმოქმედმა, რომელიც მონაწილეობდა პუბლიცისტის და გაზეთ „მშაკის“ დამფუძნებლის - გევორქ არწრუნის (1845-1892) დაარსებული თეატრის კომიტეტის (1879-1882) პირველ სხდომაში, სომხური თეატრის რეფორმირებასთან დაკავშირებით. ესაი პიტოევი აირჩიეს კომიტეტის ერთ-ერთ მეურვედ ხუთიდან, ნავთობის მაგნატ და ქველმოქმედ ალექსანდრე მანთაშევთან (მანთაშიანცი) (1842-1911)² ერთად. პიტოევი აფინანსებდა ბევრ სომეხ მსახიობს, მათ შორის მე-19

1 DADAIAN, Armenian, 2008, p. 70.

2 Հովհաննիսյան, Հայ բապტიანი պատմություն. 1996. № 325. (ინგლისურად): Hovhannissyan, Armenian, 1996, p. 325).

საუკუნის სომხური თეატრის ერთ-ერთ უთვალსა-
ჩინოეს ტრაგიკოს მსახიობს – პეტროს ადამიანს
(1849–1891). 1888 წელს ესაი პიტოევმა ჩამოაყალიბა
ტფილისის არტისტული საზოგადოება და არჩეულ
იქნა მის პრეზიდენტად. წყაროები, მათ შორის მსა-
ხიობების – ოლგა გულაზიანის³ (1885–1970) და ოლ-
გა მაისურიანის (1871–1931) მემუარები, ცხადყოფს,
რომ არტისტული საზოგადოების საქმიანობა და-
კავშირებული იყო ერთ-ერთ სახელში მოწყობილ
კერძო თეატრთან. კერძოდ, მაისურიანი წერს:
„თეატრალური ხელოვნებით შთაგონებული პი-
ტოევი არ იშურებდა თანხებს ამ დარგის გასავი-
თარებლად, იწვევდა რა გამოცდილ რეჟისორებს
და აფინანსებდა სცენის გაფორმებას. მოგვიანე-
ბით, როცა თეატრის მასშტაბი გასცდა სახლის პი-
რობების საზღვრებს, აშენდა ახალი შენობა, რო-
მელსაც იმ დროს იცნობდნენ, როგორც „პიტოევის
თეატრს“, ხოლო მოგვიანებით, როგორც არტის-
ტულ საზოგადოებას (დღევანდელი რუსთაველის
ეროვნული თეატრი)“.⁴ 1901 წლიდან მოყოლებული,
ამ ახალ ფეშენებელურ თეატრში დაიდგა პიესები
როგორც რუსულ, ისე სომხურ და ქართულ ენე-
ზე. 1902 წელს, ესაი პიტოევი დაესწრო ტფილისის
დრამატული საზოგადოების (შემდგომში სომხური
დრამატული საზოგადოება) პირველ სხდომას და
კენჭისყრის გვერდის ავლით დანიშნულ იქნა მისი
საბჭოს ერთ-ერთ პრივილეგირებულ წევრად.⁵

ჟორჟ პიტოევის მამა – ივანე (პოვანეს) პიტო-
ევი, ესაი პიტოევის უმცროსი ძმა, იყო სამხატვ-
რო თეატრის დირექტორი და დგამდა მუსიკალურ
წარმოდგენებს, ოპერეტებს და კომედიებს, ასევე
იწვევდა თბილისში გასტროლებზე ცნობილ უცხო-
ელ მუსიკოსებს, მომღერლებსა და ოპერის და-
სებს. ოჯახის კაპიტალის ნაწილით მან ხელახლა
აღჭურვა სახელმწიფო ოპერის თეატრი თბილის-
ში.⁶ სტუმართმოყვარე პიტოევის სახლი თბილისში
იქცა სალონად, რომელსაც ხშირად სტუმრობდნენ
დედაქალაქში ჩამოსული ცნობილი ხელოვნები
და ინტელექტუალები. ფიოდორ შალიაპინი, ვე-
რა კომისარჟევსკაია, პიოტრ ჩაიკოვსკი და სხვანი
ასევე გამოდიოდნენ არტისტული საზოგადოების
სცენაზე.

თბილისში ჟორჟ პიტოევის გარშემო შექმნილ

ცოცხალმა თეატრალურმა ატმოსფერომ და თე-
ატრალურ ცხოვრებაში პიტოევის ოჯახის ჩართუ-
ლობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისი
პროფესიული ინტერესებისა და იდენტობის ჩა-
მოყალიბებაში. გარდა ამისა, ზაფხულში ძმები
პიტოევი და მათი ოჯახები ჟენევისა და პარიზ-
ში მოგზაურობდნენ. შეიძლება დავასკვნათ, რომ
ისინი კარგად იცნობდნენ საფრანგეთის თეატრა-
ლურ ცხოვრებას, რომელმაც ასევე იქონია გავ-
ლენა მომავალი რეჟისორის მხატვრული გემოვ-
ნების ჩამოყალიბებაზე. მიუხედავად თეატრალურ
კარიერაზე ოცნებისა, სახელოვნებო გარემოში
გაზრდილმა ჟორჟ პიტოევმა დაამთავრა ტფილი-
სის ტექნიკური სასწავლებელი და 1902 წელს ჩა-
აბარა მოსკოვის უნივერსიტეტში. შემდგომში იგი
გადავიდა პეტერბურგის რკინიგზის ინჟინერიის
ინსტიტუტში. მიუხედავად ამისა, იგი ყოველთვის
იყო დაინტერესებული თეატრით. მამის შემწეო-
ბით ჟორჟი წარუდგინეს ვლადიმერ ნემიროვიჩი-
დანჩენკოს. რენე ჟირარის სტატიაში „თეატრი,
როგორც მისია“ ვკითხულობთ: „ივანე პიტოევი
და ნემიროვიჩის აერთიანებთ სომხური ფესვები
და ქალაქი ტფილისი, სადაც ნემიროვიჩი 1863–1874
წლებში ცხოვრობდა თეატრის შენობის გასწვ-
რივ“.⁷ ამ პერიოდში ჟორჟი ესწრებოდა მოსკოვის
სამხატვრო თეატრის წარმოდგენებზე დასწრება,
ასევე მონაწილეობას იღებდა სამოყვარულო თე-
ატრის დადგმებში. 1904 წელს იგი დაესწრო ჩეხო-
ვის „ალუბლის ბაღის“ პრემიერას, რომელმაც მას
ჩეხოვის დრამატურგია სიცოცხლის ბოლომდე შე-
აყვარა. სხვათა შორის, ხსენებულ წარმოდგენას
თავად ჩეხოვიც ესწრებოდა. შემდგომში, ჩეხოვის
დრამატურგია მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პი-
ტოევის რეჟისორულ რეპერტუარში.

მე-20 საუკუნის დასაწყისი საოცარი პერიოდია,
როცა აღმოცენდა რიგი მნიშვნელოვანი თეატრა-
ლური მიმდინარეობები, ხოლო საგრძნობი პო-
ლიტიკური და გლობალური ძვრები ახალ მსოფ-
ლიო წესრიგს აყალიბებდა. 1904 წელს, რუსეთში
რევოლუციის მაღალი აღბათობის გამო, პიტოე-
ვების ოჯახი პარიზში გადასახლდა. საფრანგეთში
ჟორჟ პიტოევის მამა არ ღალატობს ტრადიციას და
აწყობს ლიტერატურულ და მხატვრულ საღამო-

3 Գուլაզյան, Հուշեր, 1957, էջ 156. (ინგლისურად): (Gulazian, Memories, 1957, p. 156).

4 Майсұрян, Сборник, 1961. с. 30.

5 Հախվերդյան, Հայ թատրոնի պատմություն, 1980, էջ 22. (ინგლისურად): (Haxverdyan, The History, 1980, p. 22).

6 ДУБРОВИНА, Французский, 2023. с. 16.

7 НОЕЛЬ, Театр, 2005. с. 22.

ებს მონმარტრზე, ასევე დგამს პიესებს. 1904-1908 წლებში ჟორჟი სწავლობდა სორბონის სამართლის ფაკულტეტზე, ასევე მონაწილეობდა თავისი მამის თეატრალურ დადგმებში და ესწრებოდა ანდრე ანტუანის, ფირმენ ჟემიეს და ორელიენ მარი ლუნიე-პოს წარმოდგენებს. პიტოევმა მხატვრული თეატრისთვის თარგმნა ჩეხოვის „გარიგება“ და მონაწილეობაც მიიღო მის განხორციელებაში. ყოველივე ამან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ხელოვანის შემდგომ კარიერაში. გადამწყვეტი მომენტი დადგა 1908 წელს, როცა ჟორჟ პიტოევს მიეცა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო ცნობილი რუსი მსახიობის - ვერა კომისარჟევსკაიას (1864-1910) პარიზულ ტურნეში. ამის შემდეგ ვერა კომისარჟევსკაია ჟორჟ პიტოევს თავის თეატრში მიიწვევს.

პიტოევი ორი წლის განმავლობაში ასრულებდა როლებს ლეგენდარული მსახიობის თეატრში. პეტერბურგის თეატრალურ სამყაროში პიტოევმა გაიცნო დიდი ხელოვანები და ლიტერატორები: ფიოდორ კომისარჟევსკი, ნიკოლაი ევრეინოვი, ლეონ ბაკსტი, ალექსანდრ ბენუა, ალექსანდრ ბლოკი, კონსტანტინე მარჯანიშვილი და ალექსანდრ ტაიროვი. მას ხიბლავდა იმ ეპოქის ახალი თეატრალური ძიებები, განსაკუთრებით ვსევოლოდ მეიერჰოლდის სიმბოლისტურ-მეტაფორულ-პირობითი ინოვაციები.

1910 წელს, ტაშკენტის ტურნეს დროს, ვერა კომისარჟევსკაიას ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ, პიტოევი შეუერთდა პაველ გაიდებუროვის (1877-1960) მოგზაურ თეატრს, რომელიც იმ პერიოდში მთელი რუსეთის მასშტაბით აწყობდა ტურნეებს. გაიდებუროვთან თანამშრომლობით ჟორჟმა დადგა ჩეხოვის „სამი და“, ასევე ალექსანდრ ოსტროვსკის პიესა „ტყე“. პროფესიული უნარების დახვეწის მიზნით, იგი გაემგზავრა შვეიცარიაში, სადაც დაესწრო ემილ ჟაკ-დალკროზის (1865-1950) „რიტმული მოძრაობის სკოლის“ კურსებს. 1911 წელს პიტოევმა ჰელერაუში მონაწილეობა მიიღო სასწავლო პროგრამაში, რომელიც ეძღვნებოდა ფიზიკური მოძრაობის მეშვეობით მუსიკალური რიტმის გამოხატვას. ეს განათლება წარმოადგენდა ერთგვარ „თეატრალურ უნივერსიტეტს“, სადაც დაიხვეწა პიტოევის მხატვრული ხედვა და შემზადდა ნიადაგი საკუთარი თეატრის ჩამოყალიბებისთვის.

პიტოევის ინტერესი თეატრის მიმართ და მისდამი პროფესიული მიდგომა სულ უფრო იზრდებოდა. რეჟისორ არკადი ზონოვთან ერთად მან პეტერბურგში დააარსა ავანგარდული თეატრი. „ჩვენი თეატრი“ გაიხსნა 1913 წლის იანვარში პუშკინის „ქალთევზათი“, რომელსაც ესწრებოდა ალექსანდრ ბლოკი. პოეტის შეფასება დადებითისგან ძალიან შორს იყო. თავის დღიურში ბლოკი წერდა: „იმდენად ცუდი, რომ ლაპარაკიც არ ღირს...“.⁸ ვფიქრობ, ეს ბლოკის საკმაოდ სუბიექტური მოსაზრება გახლდათ. იმ პერიოდში, ბლოკისთვის, როგორც დრამატურგისთვის, ძალიან რთული და დაძაბული პერიოდი იყო, რაც უკავშირდება, მისი პიესის „ვარდი და ჯვარი“ სტანისლავსკის მიერ შესაძლო დადგმას. ბლოკმა მთელი თავისი იმედები სტანისლავსკის გენიალურობაზე დაამყარა და მოუთმენლად ელოდა შედეგს. მას ჩამოუყალიბდა საკმაოდ ნიჰილისტური შეხედულება სხვა დრამატურგებსა და რეჟისორებზე. ბლოკის დღიურში წააწყდებით ასეთ შენიშვნებს: „ხოლო ვახტანგოვი - თავად მისი სახელიც კი შემზარავია [...] თანამედროვე თეატრი ავადაა, პარალიზებულია და ბიუროკრატიული. ვშიშობ, ყველა ეს მეიერჰოლდები და გაიდებუროვები (არც მინახავს მათი პიესები) [...] ნემიროვიჩები, ბენუები...“.⁹ მიუხედავად პეტერბურგული პრესისა და ბლოკის უარყოფითი რეცენზიებისა, დასმა მალევე დადგა შექსპირის „მეფე ლირი“ ალექსანდრე მღებროვისა (მღებრიშვილი) (1884-1966) და პიტოევის (მეფე ლირი) მონაწილეობით. დასის რეპერტუარში შედიოდა შექსპირის, მოლიერის, პუშკინის, მიუსეს, ტოლსტოის, შოს და იბსენის ნაწარმოებები. მათ უარყვეს სცენაზე ვარსკვლავების გამოყვანის იდეა. ნაცვლად ამისა, თეატრი აგებული იყო ანსამბლურობის პრინციპზე. აფიშებზე მხოლოდ დრამატურგის სახელი იბეჭდებოდა. მათ შეინარჩუნეს „მეოთხე კედლის“ პრინციპი. სამაგიეროდ, მსახიობები და რეჟისორები აპლოდისმენტების მისაღებად არ გადიოდნენ სცენაზე. დიდი ალბათობით, ამით ისინი ხაზს უსვამდნენ ანსამბლის ერთიანობას „ვარსკვლავი მსახიობების“ ცნების საპირწონედ. მათი თეატრალური ხედვა: ტრადიციული დეკლამაციის უარყოფა, მარტივი სასცენო გაფორმება, სტანდარტული დეტალები, სცენების რიტმული ორგანიზება და ახლებური ურთიერთობა მაყურებელთან კონსერვატიულ აუდიტორიას

8 БЛОК, Собрание, т. 7, 1963, с. 222.

9 БЛОК, Дневник, 1989, с. 199.

უცხო და უცნაურად ეჩვენებოდა. შედეგად, თეატრი ორი სეზონის შემდეგ დაიხურა, რითაც დასრულდა პიტოევის შემოქმედებითი ცხოვრების რუსული პერიოდი.

1914 წლის დასაწყისში პიტოევი, რომელიც მძიმედ განიცდიდა დედის მოულოდნელ გარდაცვალებას, დაბრუნდა პარიზში, მაგრამ ახლა მას უკვე ჰქონდა ფასდაუდებელი გამოცდილება, როგორც მსახიობსა და რეჟისორს. სტანისლავსკისგან პიტოევმა ისწავლა ფსიქოლოგიური სიმართლის ცნება, კომისარჟევსკაიასგან – სულიერი ნიუანსები, მეიერჰოლდისგან – სტილიზებული, სიმბოლური მიდგომა, გაიდებუროვისგან – რეალისტური სამსახიობო მეთოდები, ხოლო დალკროზისგან – რიტმული მოძრაობის იდეა.

პარიზში, პიტოევმა გაიცნო თბილისელი ლუდმილა სმანოვა (1894–1946), რომელიც შემდგომში, მისი მეუღლე და მისი თეატრის წამყვანი მსახიობი გახდა. მალევე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. პიტოევი მოიპიის მიზეზით გაათავისუფლეს სამხედრო ვალდებულებისგან. წყვილი შეუღლდა და საცხოვრებლად გადავიდა ჟენევაში, სადაც დააარსა თეატრალური დასი და ქირაობდა დარბაზებს წარმოდგენებისთვის. მათი პირველი სპექტაკლი – ჩეხოვის „ძია ვანია“ (1915) დააფინანსა შეძლებულმა სომხურმა ოჯახმა.

პიესის „ძია ვანია“ დადგმისას გეზის დაკარგვის შეგრძნება აისახა პიტოევის სარეჟისორო კონცეფციაში: ქვეტექსტმა ჩაანაცვლა დიალოგი, პაუზამ დაიკავა მოძრაობის ადგილი, ხოლო გარეგნული კონფლიქტების ნაცვლად, გაჟღერდა ტანჯული სულების აღსარებები მონოლოგების სახით. პიტოევი ასრულებდა ასტროვის როლს. ჟენევის აუდიტორიისთვის „ძია ვანია“, სრულიად ინოვაციური პიტოევის ვერსიაში, აღმოჩენად იქცა. „ბევრი კრიტიკოსის თანახმად, პიტოევის მთავარი მიღწევა მდგომარეობს მის უნარში, სასცენო ინტერპრეტაციაში გადმოგვცეს ჩეხოვის პიესების დახვეწილი პოეტურობა და ემოციური სინატიფი, ასევე გაგვიმჟღავნოს ადამიანური ურთიერთობების ყველაზე ფაქიზი ფსიქოლოგიური ნიუანსები“.¹⁰ პიტოევის ყოფილმა რიტმიკის მასწავლებელმა – ემილ ჟაკ-დალკროზმა იგი მალევე წარუდგინა ჟენევის კომედიის თეატრის დირექტორს – ერნესტ ფურნიეს, რომელიც იმხანად ეძებდა რეჟისორს იბსენის „ჰედა გაბლერის“ დასადგმელად.

ჟენევის კომედიის თეატრში პიტოევის მიერ დადგმული „ჰედა გაბლერი“ (1915) იყო მისი პირველი წარმოდგენა ფრანგულ ენაზე. ამ პიესისთვის მან გადაწყვიტა სცენის სტილიზება, რისთვისაც სხვადასხვა სიმაღლეზე ჩამოკიდებული ფარდები განათების დახმარებით ქმნიდნენ დანთებული ბუხრის ილუზიას. ამ სპექტაკლში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა შუქ-ჩრდილებზე, სიჩუმესა და რიტმზე, ასევე ისეთ მცირე დეტალებზე, როგორებიცაა ჟესტიკულაცია, ინტონაცია და სამსახიობო დასის ერთსულოვნება. პიტოევმა მიაგნო თავის თეატრალურ „სუბსტანციას“, რისთვისაც ერთმანეთს შეაჯერა სტანისლავსკის ფსიქოლოგიური მეთოდი და მეიერჰოლდის პირობით-სტილისტური მანერა. ეს კომბინაცია იქცა მისი რეჟისურის პოეტურ ფორმაში ხორცშესხმულ სტილად.

1915–1916 წლების თეატრალური სეზონის ფარგლებში იდგმებოდა ერთაქტიანი პიესები. მაგალითად, ივან ტურგენევის „უფულობა“ და ალექსანდრ ბლოკის „ბალაგანი“ ერთად დაიდგა რუსეთში. 1916 წელს რეჟისორმა გააერთიანა და ფრანგულ ენაზე წარმოადგინა „ბალაგანი“, პუშკინის „ლხინი ჟამიანობის დროს“ და ჩეხოვის „გარიგება“. კრიტიკოსები „ბალაგანს“ ახასიათებდნენ, როგორც „სიმბოლიზმის უდახვეწილეს გამოხატულებას“, თუმცა, პიტოევი არ ღალატობდა თავის რეჟისორულ მიდგომას და რეალური ცხოვრებით ასაზრდოებდა თავის პოეტურ ფანტაზიებს. იგი უარყოფდა ხასიათების შექმნის ხელოვნებას: „გულის სიღრმეში ყველა პოეტი პიეროა. ყველა კაცი ეძებს თავის კოლომბინას. ყველა ადამიანი ცხოვრობს სიკვდილის მოლოდინში. სიყვარული და სიკვდილი – აი, ჩვენი უცვლელი ხვედრი, ჩვენი ცხოვრება, ხოლო „ბალაგანი“, მიუხედავად თავისი გროტესკული ფორმისა, სავსეა პოეზიით, სავსეა სიცოცხლით“.¹¹

აღსანიშნავია, რომ პირველ სეზონში პიტოევის თეატრის რეპერტუარი ძირითადად შედგებოდა პიესებისგან, რომლებიც მას მანამდე ჰქონდა ნანახი მოსკოვის სამხატვრო თეატრში და კომისარჟევსკაიას თეატრში. მეორე მხრივ, იმავე სეზონში მან დადგა რუსული და ევროპული თეატრების რეპერტუარისგან ძალიან დაშორებული პიესები, რითაც ხაზი გაესვა თავისსომხურ ფესვებს. ახალგაზრდა რეჟისორმა სცენაზე გააცოცხლა მე-16 საუკუნის პოეტის – ნაჰაპეტ ქუჩაკის „სიყვარულის

10 ГИТЕЛЬМАН, Русская, 1978, с. 102.

11 НОЕЛЬ, Театр, 2005, с. 83.

სიმღერა“. სამწუხაროდ, ამ დადგმის შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია შემორჩა. ცხადია, რომ პიტოევიზის ოჯახის ნიჭიერი მემკვიდრე კარგად იცნობდა სომხური პოეზიის მარგალიტებს და მათი შთაგონებით სპექტაკლებად აქცია შუა საუკუნეების სომხური ტაეპები, სავარაუდოდ, ფრანგულ ან რუსულ თარგმანში.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ნაბიჯი იყო პასუხი ოსმალურ თურქეთში 1915 წლის სომხების გენოციდის ტრაგიკულ მოვლენებზე. ამ დადგმას მალევე მოჰყვა ანთოლოგია „სომხეთის პოეზიის“ ვალერი ბრიუსოვის თარგმანის გამოცემა (მოსკოვი, 1916). კარლენ დალაქიანთან ვკითხულობთ: „ბრიუსოვი ძირითადად ეყრდნობოდა ჩობანიანის [Archag Tchobanian, Les Trouvères arméniens, Paris, 1906 - ნ. ს.] ტექსტებს, ხოლო მისი ბრწყინვალე თარგმანის დიდი ნაწილი პირდაპირ ფრანგულიდანაა“.¹² არის ალბათობა, რომ ხსენებული დადგმის იდეა პიტოევს მიაწოდეს იმ დროს ჟენევაში მცხოვრები სომხური ინტელიგენციის წევრებმა, მათ შორის პოეტმა და მწერალმა - ავეტიქ ისააკიანმა და მწერალმა და პუბლიცისტმა - არშაკ ჩობანიანმა. იმ დროისთვის ქუჩაკის პოეზია უკვე იყო თარგმნილი ფრანგულად და რუსულად.

1918 წელს ჟენევაში პირველი წარმატებული დადგმების შემდეგ, პიტოევმა დააარსა მუდმივი დასი, რომელიც მართავდა წარმოდგენებს ჟენევის გარეუბანში სახელწოდებით პლენპალე, რასაც მოგვიანებით მოჰყვა გასტროლები მთელი ქვეყნის მასშტაბით. დასის რეპერტუარს, რომელიც შედგებოდა საუკეთესო პიესებისგან, ახასიათებდა ინოვაციური რეჟისორული და სცენოგრაფიული მიდგომები. თეატრის დადგმებს შორის იყო: ლევ ტოლსტოის „ცოცხალი ლეში“ (ფედია: ჟორჟ პიტოევი), ნიკოლაი გოგოლის „რევიზორი“ (ხლესტაკოვი: პიტოევი), მორის მეტერლინკის „და ბეატრისი“, ჰენრიკ იბსენის „მოჩვენებები“ (ოსვალდი: პიტოევი), კარლო გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“ (მირანდოლინა: პიტოევა, ფორლიბოპოლი: პიტოევი), შექსპირის „საწყაული საწყაულის წილ“ (ვინჩენცო: პიტოევი) და „ჰამლეტი“ (ჰამლეტი: პიტოევი, ოფელია: პიტოევა), მაქსიმ გორკის „ფსკერზე“ (ბარონი: პიტოევი), ანტონ ჩეხოვის „თოლია“ (ტრიგორინი:

პიტოევი, ნინა ბარენია: პიტოევა) და ოსკარ უაილდის „სალომე“ (სალომე: პიტოევა, ჰეროდე: პიტოევი).

1920 წლიდან დაწყებული, დასი თითქმის ყოველწლიურად აწყობდა გასტროლებს პარიზში. ჟორჟ პიტოევი იყო პირველი, ვინც გააცნო პარიზულ სცენას ჩეხოვის პიესები. ფრანგული აუდიტორიისთვის ჩეხოვის შინაგანი ქმედების დრამატურგია იყო არა მხოლოდ უჩვეულო, არამედ უცხო. „ეს ემოციური შოკის თეატრი სიახლეა და მოულოდნელობა საზოგადოებისთვის, რომელიც შეჩვეულია დიადი შემსრულებლების თეატრს, ვარსკვლავთა თეატრს“, - წერდა ლუნიე-პო.¹³ მაგრამ დროთა განმავლობაში აუდიტორიამ ნელ-ნელა დააფასა ჩეხოვის დიალოგების სიღრმე.

ანიუტა პიტოევა¹⁴ წერდა: „სატირა და ნანგრევებად ქცეული ევროპის სახე სხვა წარმოდგენებში მხოლოდ ამძაფრებდა მსოფლიოს შფოტს, რომელიც ნელ-ნელა შორდებოდა ომისგან შობილ ჰალუცინაციურ სიშმაგეს და უახლოვდებოდა ჩუმ სასოწარკვეთას მოახლოებული კატასტროფის წინაშე. მათგან განსხვავებით, ჩეხოვის სიკეთე, მისი იმედი, მიუხედავად ბედისწერას აშკარად შეგუებისა, აღსავსე იყო როგორც იდუმალებით, ისე გულწრფელობით. კონტინენტის ტანჯვის სიღრმეებიდან მოედინებოდა ცოცხალი, წყალუხვი წყარო“.

უიმედო სასოწარკვეთის თემაში პიტოევი ეძებდა იდეალს. ამ მიზნით მან შექსპირის „ჰამლეტზე“ (1920) გააკეთა არჩევანი. პიტოევის მიერ ამ ტრაგედიის დადგმას პარიზში დიდი წარმატება მოჰყვა: რეჟისორის არაკომერციულმა თეატრმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა. ჟორჟ პიტოევი ასრულებდა ჰამლეტის როლს, ხოლო ლუდმილა პიტოევა განასახიერებდა ოფელიას. პირველად ისტორიაში საფრანგეთში დაიდგა „ჰამლეტის“ სრული ვერსია, შემოკლებების გარეშე, რომელიც 5 საათს გაგრძელდა. აი, რას წერდა ამის შესახებ რაინერ მარია რილკე: „მთელი გულით და ინსტინქტებით ვეთაყვანები პიტოევს, რომელმაც სულ ახლახან იზეიმა ბრწყინვალე ტრიუმფი თავისი „ჰამლეტით“.¹⁵ ამ სპექტაკლში პოეტს ესმოდა დასახიერებელი გონების ექო.

„ჰამლეტის თემა არის პიტოევის თემა, ევროპუ-

12 ჟალაკიან, არჟაკ ჟიაკსიან, 1987, № 352. (ინგლისურად): (Dallakian, Archag, 1987, p. 352).

13 Гительман, Русская, 1978, с. 102.

14 PITOËFF, Ludmilla, 1955, p. 178.

15 ФИНКЕЛЬШТЕЙН, Картель, 1974, с. 297.

ლი ინტელიგენციის ომისშემდგომი თაობის თემა“, – აღნიშნავდა ფინკელშტაინი.¹⁶ ამ წარმოდგენაში იგრძნობა ომისშემდგომი შფოთი. „ჰამლეტში“ (1920) ჩანს იმ პიროვნების სიდიადე, რომელიც ხედავს თავისი არსებობის აზრს ბოროტის წინააღმდეგ ბრძოლაში“, – წერდა გიტელმანი¹⁷ პიტოევი ხაზს უსვამდა მთავარ კონფლიქტს პიროვნებასა და სამყაროს შორის. ეს კონფლიქტი კოსტიუმების დიზაინშიც კი იგრძნობა: შავი ან თეთრი, დამნაშავე და უდანაშაულო. მხოლოდ ოფელია, ჰორაციო და ფორტინბრასი, თავისი ჯარისკაცებით, არიან გამოწყობილნი თეთრ სამოსში. დანარჩენებს, ჰამლეტის მსგავსად, შავი აცვიათ. ვერცხლისფერი ეკრანები შავი ხავერდოვანი დეკორაციის ფონზე ქმნიან გარემოს, რომელშიც იშლება დადგმის 24 სცენა. მინიმალიზმი წარმოადგენს არა მხოლოდ სცენის, არამედ მსახიობობის საფუძველს. თავად პიესა პიესაშიც – „სათაგური“ გადაწყვეტილია ლაკონურად და ინოვაციურად. ეს სცენა მოიცავს სამწუთიან პანტომიმას, რომლის ფარგლებში რიტმული მუსიკალური აქცენტები ავლებს ტრაგიკულ პარალელებს სცენაზე წამიერ მოქმედებებსა და მის მიღმა ცხოვრებას შორის. საუკეთესო სამსახიობო მეთოდების გამოყენებით მიღწეული განზოგადება ასევე ჩანს ფინალურ სცენაშიც. სპექტაკლის კომპოზიტორი ჰენრი ბრაიტენსტაინი თავის მოგონებებში აღნიშნავდა, რომ ჰამლეტი-პიტოევი, რომელიც პლატფორმაზე იდგა, მიმართავდა ფორტინბრასის ჯარს, რა დროსაც იქმნებოდა ილუზია, თითქოს მთელი ჯარი სცენაზე იდგა, თუმცა სინამდვილეში მის არსებობაზე მხოლოდ სამხედრო მარშის მიმქრალი ხმები თუ მიუთითებდა. გაბატონებულ მორალთან კონფლიქტში მოსული ჰამლეტ-პიტოევის ბრწყინვალე იდეალები გაქარწყლებულია. მის გულში მხოლოდ იმედგაცრუება და უიმედობა ბუდობს. თუმცა ფინალურ სცენაში სიკვდილის მახეში გაბმული ჰამლეტი მაინც იღებს თავის ხმალს. როგორც პიტოევმა განუმარტა თეატრის კრიტიკოს ბრაზიიას, „დუელამდე ერთი წუთით ადრე ჰამლეტი ხსნის ამ დილემას. იგი გადაწყვეტს, რომ იბრძოლოს. და სწორედ ამ მომენტში იგი ამბობს: „დაე“.

„ჰამლეტის“ წარმოდგენელი წარმატე-

ბის შემდეგ პიტოევმა დადგა მაქსიმ გორკის „ფსკერზე“ (პიტოევი: ბარონი) და ჩეხოვის „ძია ვანია“ და „თოლია“ (თარგმანი: პიტოევები), ასევე „მაკბეტი“, ლეონიდ ანდრეევის „ის, ვისაც სილას აწნავენ“, ალექსანდრ დიუმას (შვილი) „ქალი კამელიებით“, ოსკარ უაილდის „სალომე“, ბერნარდ შოს „ანდროკლე და ლომი“, გილბერტ კით ჩესტერტონის „ჯადოქრობა“ და ანდრე ლენორმანის „ოცნებათა ქურდი“. ყველაზე წარმატებული ჩამოთვლილთა შორის აღმოჩნდა შექსპირის „მაკბეტი“.

პიტოევი განიხილავდა „მაკბეტს“, როგორც მის მიერ დადგმული „ჰამლეტის“ გაგრძელებას. „თუ „ჰამლეტში“ აზრი გვიბიძგებს მოქმედებისკენ, „მაკბეტში“, პირიქით, მოქმედება აღძრავს აზრებს“, – განაცხადა პიტოევმა პრემიერის წინ.¹⁸ მისი სარეჟისორო კონცეფცია ეყრდნობა სინათლისა და სიბნელის, ცნობიერისა და ქვეცნობიერის კონტრასტს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პიტოევი თავად ხელმძღვანელობდა საკუთარი დადგმების სცენოგრაფიას, ქმნიდა რა შუქისა და ჩრდილის გამოყენებით სიმბოლურ გარემოს. მისი შვილის – საშა პიტოევის¹⁹ თანახმად, ეს სტილიზაცია წარმოადგენდა გლობუსის და რეალობის სიმბოლოს, როცა არარეალურის კარი ყოველთვის ღიაა. „მაკბეტი“: კეთილშობილური თუ შემადრწუნებელი? პიტოევი არ იძლევა ცალსახა პასუხს. მისი აზრით, აქ საკვანძოა კუდიანის სიტყვები: „იქცევა უსამართლობად სამართლიანი, კეთილად ბოროტი მოგვევლინება“.²⁰ მუსიკალური გაფორმებაც შეესაბამება რეჟისორის ხედვას: შფოთვა, ამბიცია, სისასტიკე, დანაშაულის გრძნობა, შემდეგ მიტევება, ბოლოს კი გასხივოსნება. მიუხედავად ამისა, სპექტაკლის ბოლოსკენ ვნებათა მელოდიური დინება პირქუშ დაძაბულობას დაუბრუნდა.

პიტოევის კონცეფცია ეხებოდა არა მხოლოდ ადამიანის ბუნების გაორებას, არამედ კაცობრიობის მორალური საზღვრების რღვევასაც. ამ დადგმაში სრულად გამოვლინდა მისი ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა და ესთეტიკა. ერთ-ერთმა კრიტიკოსმა პიტოევს გენიოსიც კი უწოდა. ასე რომ, შემთხვევით არაა, რომ ამ სპექტაკლის ნახვის შემდეგ შანზ-ელიზეს თეატრის დირექტორ-

16 ФИНКЕЛЬШТЕЙН, Картель, 1974, с. 297.

17 ОБРАЗЦОВОЙ, Смирнова, Гительман, История, том 7, 1985, с. 181.

18 ОБРАЗЦОВОЙ, Смирнова, Гительман, История, том 7, 1985, с. 299.

19 იქვე, с. 300.

20 НОЕЛЬ, Театр, 2005, с. 66.

მა - ჟაკ ებერტომ პიტოვეი და მისი დასი პარიზში მიიწვია საცხოვრებლად და სამუშაოდ.

ჟენევაში გატარებული 7 წლის განმავლობაში პიტოვემა დადგა 46 ავტორის 74 პიესა და შეასრულა 66 როლი. სცენის გაფორმებასაც იგი თავად ხელმძღვანელობდა. ჟორჟის მეუღლე ლუდმილა იყო მისი მუზა, პარტნიორი, მთარგმნელი და წამყვანი მსახიობი, აღიარებული ერთ-ერთ საუკეთესოდ მე-20 საუკუნის ფრანგულ თეატრში, რომელიც სცენაზე ამჟღავნებდა გასაოცარ ქარიზმას და ნიჭს. ცოლ-ქმარი ერთად მუშაობდა თარგმანებზე, დადგმებზე, დიზაინების შემუშავებაზე და ერთად ასრულებდა სხვადასხვა როლს. მათ პარტნიორობას სამართლიანად უწოდებენ საავტორო თეატრს.

1922 წელს პიტოვეის შემოქმედებით ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეტაპი. მას წინ ჰქონდა ახალი დადგმები და როლები შემდეგ სცენებზე: Théâtre des Champs-Élysées, Théâtre des Arts, Théâtre des Mathurins და Théâtre de l'Avenue პარიზში, ასევე ლევენდარულ Cartel des Quatre-ში, რასაც მოჰყვა ფრანგების მიერ წარმოშობით სომეხი (დაბადებული იმდროინდელ რუსეთის იმპერიაში) ხელოვანის საყოველთაო აღიარება. იმ პერიოდში საფრანგეთის კულტურული ცხოვრების ყველა მოწინავე ფიგურა აფასებდა მის ნამუშევრებს, ჯერ კიდევ ჟენევის პერიოდიდან მოყოლებული. ჟაკ კოპო, მაგალითად, პიტოვეის პარიზში გადასახლებამდე კი ოცნებობდა მასთან თანამშრომლობაზე. ჟენევის პერიოდის დადგმებში ჩართულნი იყვნენ მისი მომავალი პარტნიორები Cartel des Quatre-ში საქმიანობის ფარგლებში: შარლ დულინი და ლუი ჟუვე. აღსანიშნავია ცნობილი კრიტიკოსის - რენე ბრაზიიაკის²¹ მიერ Cartel des Quatre-ის წევრ ჟუვეს ციტირება: „პიტოვეი ხუთი შემთხვევიდან ოთხში შეიძლება ცდებოდეს. მაგრამ ჩვენ შორის სწორედ იგია გენიოსი“.

დაბოლოს, მე-20 საუკუნის დასაწყისი, როცა მთელ მსოფლიოში მიმდინარეობდა სოციალური და პოლიტიკური ძვრები და ცვლილებები, სათეატრო ხელოვნებაშიც იქცა ინოვაციისა და

განახლების პერიოდად. რეჟისორი, როგორც თეატრალური პროცესის მთავარი ფიგურა, გახდა საკვანძო ფაქტორი სცენური ენის შენარჩუნებისა და სამყაროსთან ურთიერთობის ახალი გზების ძიების თვალსაზრისით. პიტოვეის ინოვაციური სარეჟისორო ხედვა და მხატვრული ექსპერიმენტების ერთგულება ასრულებდა წამყვან როლს თანამედროვე თეატრალური პრაქტიკის ჩამოყალიბებაში. თავდაპირველად გეოპოლიტიკამ გავლენა იქონია ჟორჟ პიტოვეის ცხოვრების გზაზე: თბილისში თეატრის მოღვაწეთა სომხური ოჯახით დაწყებული და დამთავრებული რუსეთით, პარიზით, შემდეგ რუსეთში დაბრუნებით, შემდეგ ჟენევაში გადასვლით და კვლავ პარიზში ცხოვრებითა და მოღვაწეობით, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი მაინც მისმა მხატვრულმა მრწამსმა განსაზღვრა. ფრანგულ თეატრში იგი იქცა მოდერნისტული მოძრაობის წამყვან ფიგურად, რომელიც ეყრდნობოდა როგორც რუსულ, ისე დასავლეთევროპულ თეატრალურ ტრადიციებს. მის მოღვაწეობას რუსეთსა და შვეიცარიაში და მუშაობას როგორც კლასიკურ ტექსტებთან, ისე თანამედროვე დრამატურგიასთან, ახასიათებს მინიმალისტური ესთეტიკა, ფსიქოლოგიური სიღრმე, „რეალურად არსებულთან მიმსგავსების“²² მიდგომები, რიტმულად ორგანიზებული სცენები, ტრადიციული ხერხები და მსახიობზე კონცენტრირებული შესრულება. თავად რეჟისორიც აღიარებს: „მე დიდად დავალებული ვარ ორი მასწავლებლისგან: სტანისლავსკისა და ანტუანისგან. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მათი გაკვეთილები სხვადასხვა ფორმით ცოცხლდება ჩემში“.²³

სწორედ ამ „სხვადასხვა ფორმამ“ განსაზღვრა ჟორჟ პიტოვეის უნიკალური რეჟისორული ნაბიჯები, ჩამოაყალიბა მისი პოეტურ-თეატრალური ხედვა და გზა გაუხსნა საერთაშორისო აღიარებისკენ და ფრანგულ თეატრში აღიარებისკენ, ფრანგულ თეატრში გაბედული და წარმატებული საქმიანობისკენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

21 Je suis partout, 1943, 20 aout, p. 6.

22 СНЕКОВ, On theatre, 2004, p. 10.

23 НОЕЛЬ, Театр, 2005, с. 51.

- DADIAN Khachik, Armenian Commercial Presence in Tiflis. Magazine "21ST century", 2008, no.2 (4), p. 70. Available at: <http://www.noravank.am/eng/articles/detail.php>
- CHEKHOV Michael, On theatre and the art of acting. New York, Working Arts, 2004, p.10.
- PITTOEF Aniouta, Ludmilla, ma mère. Vie de Ludmilla et de Georges Pitoëff, Paris, Julliard, 1955.
- BRASILLACH Robert, Resurrection des Pitoëff // Je suis partout. Paris, 1943, 20 aout. <http://gallica.bnf.fr/>
- HOVHANNISSYAN Henrik, Armenian theatre history:19th century, Yerevan, 1996 (In Armenian). **Հենրիկ ՀՈՎՀԱՆՆԻՍՅԱՆ, Հայ թատրոնի պատմություն. 19-րդ դար, Երևան, «Նաիրի», 1996:**
- SAFRASBEKIAN Irma, Georges Pitoëff's mission. Magazine "Soviet Art", 1954, no.4, 51-59 pp. (In Armenian). **Իրմա ՍԱՖՐԱԶԵԿՅԱՆ, Ժորժ Փիթոեֆի առաքելությունը, «Սովետական արվեստ», 1954, հմ.4, էջ 51-59:**
- DALLAKIAN Karlen, Archag Tchobanian, Yerevan, 1987 (In Armenian). **Կարլեն ԴԱԼԼԱԶՅԱՆ, Արշակ Չոպանյան, Երևան, «Սովետական գրող», 1987:**
- HAXVERDYIAN Levon, History of Armenian Theatre: 1905-1920, Yerevan, 1980 (In Armenian). **Լևոն ՀԱԽՎԵՐԴՅԱՆ. Հայ թատրոնի պատմություն. 1905-1920թթ., Երևան, «Հայկական ՍՍՀ ԳԱ հրատարակչություն», 1980:**
- GULAZIAN Olga, Memories, Yerevan, 1957. In Armenian: **Օլգա ԳՈԼԱԶՅԱՆ, Հուշեր, Երևան, 1957.**
- БЛОК А., Дневник, Советская Россия, М., 1989.
- БЛОК А., Собрание сочинений, В 8-и томах. т.7, М. - Л., 1963.
- ФИНКЕЛЬШТЕЙН Е., Картель четырех: французская театральная режиссура между двумя войнами. Л., 1974.
- НОЕЛЬ Ж., Театр Жоржа Питоева, Статьи, Выступления, Интервью, Письма, М., 2005.
- ОБРАЗЦОВОЙ А., Смирнова Б., Гительман Л. (ред.), История западноевропейского театра, Л., 1978.
- МАЙСУРЯН О., Сборник материалов, Ереван, 1961.
- ДУБРОВИНА С., Французский режиссер из России, М., 2023.

GEORGES PITOËFF AND THE FOUNDATION OF HIS THEATRICAL VISION

Narine Sargsyan

Keywords: Georges Pitoëff, Pitoëffs' family, activities in Russia and Switzerland, innovations, Paris tours, theatrical vision.

This paper, entitled “Georges Pitoëff and the Foundation of His Theatrical Vision,” examines the formative period of Georges Pitoëff (1884–1939), a prominent figure in twentieth-century European theatre. As one of the founding members of the influential Cartel des Quatre in Paris, Pitoëff played a decisive role in shaping modern theatrical practice through his innovative directing and commitment to artistic experimentation. Born in Georgia into an Armenian-Russian family, and later active primarily in France, he exemplified the complex identity of the émigré artist who, amid social and political upheavals, transformed relocation into creative strength. The study focuses on his early work in Russia and in Switzerland, a period in which Pitoëff’s poetic conception of theatre began to emerge, forming the intellectual and aesthetic groundwork for his later prominence and enduring influence within modern European theatre.

Georges Pitoëff (Gevorg Pitoyan, 1884–1939), an ethnic Armenian-Russian born in Tiflis (Tbilisi), one of the prominent innovative directors of early 20th-century French theatre, a founding figure of the avant-garde Cartel des Quatre in Paris. Much scholarship has focused on Parisian period of Georges Pitoëff’s activity and but less attention has been given to his family roots and earlier creative works in Russia and Geneva. We deem it important to turn to the early period of Pitoëff’s activity, because during this time his directorial and acting preferences began to form creating the foundation of his theatrical vision. We also consider important to reflect on the main role that the Family preferences and environment surrounding him played in shaping of future artist’s personality.

Pitoëff family has been known since 17th century at the reign of Vakhtang VI. The post of King’s nazir was occupied by mokalak Hovsep Pitoyan¹. In the 19th century George’s grand-father Yegor Pitoëff’s com-

